

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
ფინანსური ანგარიშგება

თბილისი 2024 წელი

ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება - შპს „იმედი“ ს/ნ 400053749 (შემდგომში - საზოგადოება).

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღია- 2012 წლის 6 ივლისი; დღე-ს გადამხდელია 2012 წლის 6 ივლისიდან.

საზოგადოების იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ა.სუმბათაშვილ-იუჟინის ქ.#60 ფაქტობრივი მისამართი - ქ. თბილისი, ევგენი ხარაძის ქ.#6

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში შეადგენს:

1. მამუკა კოპაძე	პ/ნ 01020004567	-50%
2. იმედა აფციაური	პ/ნ 01019009982	-50%

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს.

საზოგადოების ხელმძღვანელია - მამუკა კოპაძე. თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 16 კაცს;

საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს: სატვირთო გადაზიდვებს სატვირთო საგზაო ტრანსპორტით; სპეციალიზებულ სამშენებლო სამუშაოებს და სხვა.

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღია 2023 წლის 31 დეკემბერი, ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი - 2023 წელი.

ზოგადი დებულებები

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების ამოცანაა, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სასარგებლო იქნება დაინტერესებული პირებისთვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია:

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად; დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების ფორმირება, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის.

წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა.

საქმიანობის უწყვეტობა

წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისმობს, რომ საზოგადოება განაგრძობს უწყვეტად ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში.

ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებულია, ასე რომ მოიქცეს. მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განაგრძონ და გააფაროვნ საზოგადოების მუშაობა.

ქვემოთ არის წარმოდგენილი საზოგადოების 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების საშედეგო ცხრილები და წინასაანგარიშგებო 2021-2022 წლების შესადარისი მაჩვენებლები.

კერძოდ:

- საქმიანობის შედეგების ცხრილი;
- ფინანსური მდგომარეობის ცხრილი;
- ფულადი ახსრების მოძრაობის ცხრილი;

შპს იმედი		
საქმიანობის შედეგები (საანგარიშგებო პერიოდი - 2023 წელი)		ლარი
შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2023 წელი	საანგარიშგებოს წინა პერიოდის ბოლო თარიღი 2022 წელი
ამონაგები	2984906	2355167
მათ შორის		
საქონლის გაყიდვიდან	1731055	1147564
მომსახურების გაწევიდან	1253851	1207603
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1118229	1032139
საერთო მოგება	1866677	1323028
საწვავის ხარჯი	403672	499521
ხელფასი	283510	204726
სესხის პროცენტი	28497	40346
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	2927	3643
იჯარის ხარჯი	30508	30508
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	359245	76083
დაზღვევა		3794
ცვეთა და ამორტიზაცია	99566	127522
ქონების გადასახადი	5764	7579
დამატებული ხარჯი (რემონტი და სამეურნეო ხარჯი)	84282	199448
საოპერაციო ხარჯი, სულ	1297972	1193170
საოპერაციო მოგება (ზარალი)	568705	129858
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	648850	282340
არასაოპერაციო შემოსავალი	80145	152482
მათ შორის		
საკუროს სხვაობიდან მიღებული შემოსავალი (გადაფასებით)	4075	152482
სატვირთო გადაზიდვების ავტომატური რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	76070	
არასაოპერაციო ხარჯები		
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და მანქანის რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		
ხარჯები, სულ	2416201	2225309
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	648850	282340
მოგების გადასახადი	177265	14861
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	471585	267480

შპს იმედი			
ფინანსური მდგომარეობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2023 წელი)			ლარი
შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2023 წელი	საანგარიშგებოს წინა პერიოდის ბოლო თარიღი 2022 წელი	საანგარიშგებოს წინა პერიოდის ბოლო თარიღი 2021 წელი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1993122	1025376	794119
მ.შ. ბანკი	1005939		
მ.შ. სალარო	513952		
კაპიტალი (გაუნადღებელი ნაწილი)	473231		
სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები)	30721	57630	54341
სხვა	5957	6822	4082
ძირითადი საშუალებები	526733	694349	941033
სულ აქტივები	2556533	1784177	1793575
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	75844	158123	90179
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	34649	34649	34649
საგადასახადო ვალდებულებები	28536	27290	43667
სხვა ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1858882	472578	716813
სულ ვალდებულებები	1997911	692640	885308
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	1091537	908267	775869
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	471585	267480	132398
კაპიტალის შემცირება დამფუძნებელთა მოთხოვნის ხარჯზე	1004500	84210	42105
სულ საკუთარი კაპიტალი	558622	1091537	908267
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2556533	1784177	1793575

შპს იმედი		
ფულადი სახსრების მოძრაობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2023 წელი) ლარი		
შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2023 წელი	საანგარიშგებოს წინა პერიოდის ბოლო თარიღი 2022 წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2984906	2355167
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2316635	2097787
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული და სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	93822	
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და მანქანის რეალიზაციიდან მიღებული ზარალი		20543
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
სესხის აღება	1479170	182302
სესხის ძირი თანხის გადახდა	91752	88791
მოგების გადასახადი	177265	14881
დამფუძნებელთა მოთხოვნის (დივიდენდის) ხარჯი	1004500	84210
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	967746	231257
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1025376	794119
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1993122	1025376

განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ბასს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. საზოგადოების ხელმძღვანელობას აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე

მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოოს საქმიანობის შინაარს, ეკონომიკურ მოვლენებს და ობიექტურია. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის პირველადი შეფასების საფუძველი. ცვლილებები საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში არ მომხდარა.

აქტივები

აქტივების მოცულობამ, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 2556533 ლარი, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 772356 ლარით, ძირითადად სესხის აღების ხარჯზე. 2023 წლის დეკემბერში საზოგადოებამ აიღო საბანკო სესხი 1479170 ლარი. საზოგადოებაში ფულადი სახსრების აკუმულირების ძირითადი წყაროა საქონლის რეალიზაცია და მომსახურება.

სამეურნეო ოპერაციებს საზოგადოება ახდენს ქვეყნის შიგნით, ამის გამო, მოთხოვნებისა და ვალდებულებების მომსახურების პროცესში, საზოგადოება არ სარგებლობს უცხოურ ვალუტაში ოპერაციებით. ამასთან, საზოგადოებას სესხები ბანკებიდან აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში, თუმცა, 2023 წელს ვალუტების კურსების ცვლილებას ლართან მიმართებაში, საზოგადოების საფინანსო მდგომარეობაზე, პრაქტიკულად, გავლენა არ მოუხდენია.

საზოგადოების აქტივების ძირითადი მუხლის - ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აქტივების ხელახალი შეფასება საზოგადოებაში არ განხორციელებულა.

აქტივის თვითღირებულებაა გარიგების ფასი აქტივის შესყიდვის დროს გადახდილი თანხა. თვითღირებულება მოიცავს ასევე ამ აქტივის შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. აღიარება ხდება შესყიდვის დოკუმენტების, ანგარიშ-ფაქტურების, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ანგარიში ხდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება

საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებების ნარჩენ საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 526733 ლარი.

ვალდებულებები

საზოგადოებას აქვს ვალდებულებები წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას საწარმოდან. ასეთი ვალდებულებები (კრედიტორული) მოცემულია ხარჯის სახით, რაც წარმოადგენს მიღებული სერვისის ან პროდუქციის ასანაზღაურებელ თანხას.

კრედიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადაც ერთ წელზე მეტია, აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მოცულობამ საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღისთვის შეადგინა 1858882 ლარი და წინა წელთან შედარებით გაიზარდა 3,93 ჯერ.

კაპიტალი

საზოგადოების საკუთარი კაპიტალი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 558622 ლარს, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემზე 532915 ლარით ნაკლებია. აღნიშნული შემცირება საანგარიშგებო წელს, ძირითადად განაპირობა საზოგადოების დამფუძნებლებზე 1004500 ლარი დივიდენდის გაცემამ.

ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებებში.

პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან მოსალოდნელი არაა ეკონომიკური სარგებლის გასვლა საზოგადოებიდან და შესაძლებელია ვალდებულებების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული პირობითი აქტივები. ამ სახის ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის შესაძლებლობა საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს იმედი-ს მიერ ფორმირებული 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და წარსადგენად ნებადართულია, საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორების 2024 წლის 20 სექტემბრის საერთო კრების საოქმო გადაწყვეტილებით.

საზოგადოების 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების დასასრული.

შპს იმედი-ს

ხელმძღვანელი:



მამუკა კოპაძე

შპს იმედი-ს (ს/ნ 400053749) პარტნიორთა კრების
ოქმი

ქ. თბილისი

20.09.2024 წელი

დღის წესრიგი:

1. კრების თავმჯდომარის არჩევა.
2. შპს-ს იმედი (შემდგომში -საზოგადოება) 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შესახებ.
კრებას ესწრებოდნენ: საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები: .
1. მამუკა კოპაძე, პ/ნ 01020004567 ;
2. იმედა აფციაური, პ/ნ 01019009982;

კრების თავმჯდომარედ იქნა არჩეული იმედა აფციაური.

შპს იმედი-ს 2023 წლის ფინანსური ანგარიში წარადგინა საზოგადოების ხელმძღვანელმა მამუკა კოპაძემ. მან აღნიშნა, რომ გასული საანგარიშგებო წელი წარმატებით დასრულდა. ამონაგების მთლიან თანხამ საოპერაციო საქმიანობიდან შეადგინა 2 984 906 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 629 739 ლარით ანუ 26,7 %-ით. საზოგადოების საოპერაციო მოგებამ 2023 წელს შეადგინა 568 705 ლარი, 438 847 ლარით ანუ 4,4 ჯერ მეტი ვიდრე 2022 წლის ანალოგიური მაჩვენებელი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საზოგადოების საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი პარამეტრები მოცემულია სამიანობის შედეგების, ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური სახსრების მოძრაობის ცხრილებში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია, საზოგადოება არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მე-3 კატეგორიის სტატუსის მქონე საწარმო და ვალდებულია განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ხელმძღვანელობამ მოამზადა საზოგადოების 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოცემულია ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ცხრილების სახით, ასევე ტექსტის ფორმით (თან ერთვის). დამფუძნებლის წინაშე მომხსენებელმა წამოაყენა წინადადება, - კრებამ განიხილოს და დამტკიცოს საზოგადოების 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ექვემდებარება ზემოთ აღნიშნული ზედამხედველობის სამსახურში წარდგენას.

კრებამ განიხილა წარმოდგენილი, საზოგადოების 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება და მიიღო გადაწყვეტილება:

1. ცნობად იქნას მიღებული საზოგადოების ხელმძღვანელის, მამუკა კოპაძის მოხსენება 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ;
2. მოწონებულ იქნას და დამტკიცდეს საზოგადოების 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება.
3. დაევალოს საზოგადოების ხელმძღვანელს, უზრუნველყოს დამტკიცებული, საზოგადოების 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში, დადგენილი პროცედურებისა და წარდგენის ვადების დაცვით.

კრების თავმჯდომარე, დამფუძნებელი პარტნიორი

ი. აფციაური